

მარგიმუშკი და მარგიმუშ+ი > მარგიმიშუ თუ მარგი?

(ეტიმოლოგიური მირაჟებით გატაცებულთა საყურადღებოდ)

ჩვენი საგანგებო ყურადღება მიიქცია სვანურმა ლექსემამ **მარგი-მუშ** (ლშხ.) > **მარგიმიშუ** (ზსვ., ლნტ.). სამედიცინო ლიტერატურისა და ძველი ლექსიკონების მიხედვით ჩანს, რომ ქართულშიც იშვიათად იხმარებოდა **მარგიმუშკი**, რომელიც შემოსულია არაბულ-სპარსული სამყაროდან, ალბათ, საშუალი საუკუნეებიდან.

1887 წელს ცნობილი სწავლული ბესარიონ ნიჟარაძე წერდა: „იარის, ქრილობის მოსარჩენად სვანის ექიმები ხმარობენ: ერთნაირ საფხეკ თეთრ ქვას, ნაძვის ფისს და **მარგი მუშკს, რომლის თვისება, ალბად, ყველას ეცოდინება**“ (ნიჟარაძე 1962:171; ხაზი ჩვენია – ი. ჩ.). ეთნოლოგ მიხეილ ჩართოლანისთვის, ვინც შეადგინა ბესარიონ ნიჟარაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სტატიების ლექსიკონი, **მარგი მუშკი** გაუგებარია და ამიტომაც მას კითხვის ნიშანი უზის, ყოველგვარი განმარტების გარეშე (ნიჟარაძე 1964: 226).

თავად ბესარიონ ნიჟარაძის მიერ შედგენილ ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში, რომელიც მზად იყო გამოსაცემად ჯერ კიდევ 1888 წელს (თუმცა პუბლიკაცია მივიღეთ მხოლოდ 2007 წელს), შემდეგი ვითარებაა: **მარგიმუშკი-მარგიმიშუ мышьяк** (გვ. 138) და **დარიშხანა – მარგიმიშუ мышьяк** (გვ. 100). დაახლოებით იგივე სურათია ივანე ნიჟარაძის “Русско-сванский словарь”-ში (1910:209): **Мышьяк – маргімішв, მარგიმუშკი**.

აშკარაა, რომ ნიჟარაძეთა ლექსიკონები განიცდიდნენ იმ დროისათვის ძალზე პოპულარული ლექსიკოგრაფის, დავით ჩუბინაშვილის ანალოგიურ ნაშრომთა ზეგავლენას: შდრ. **დარიშხანა – მარგიმუშკი, მაკჷდინებელი საწამლავი арсеникъ. мышьякъ** (ჩუბინაშვილი 1984: 401; ამ „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ პირველი გამოცემა განხორციელდა 1887-1890 წლებში) და **მარგიმუშკი – დარიშხანა, арсеникъ. мышьякъ** (იქვე: 669).

1925 წელს გამოქვეყნდა ეგნატე გაბლიანის მონოგრაფია „ძველი და ახალი სვანეთი“. მასში სხვა საკითხებზე მსჯელობასთან ერთად

მოყვანილია 16 გვერდის შემცველი სალექსიკონო მასალა ყველა ასოზე, რომლითაც ავტორი ლამის „ანათემას გადასცემს“ მეფის რუსეთის მოხელეს, ბ. სტოიანოვს იმის გამო, რომ მან СМОИК-ის X ტომში (1890 წ.) გამოაქვეყნა სტატია, სადაც ამტკიცებდა, სვანურ ენაში ერთი ქართული სიტყვაც კი არ ურევიაო (იხ. გვ. 22-23). ორ სვეტად წარმოდგენილ გაბლიანისეულ მცირე ლექსიკონში მხოლოდ ის ლექსემებია აღნიშნული, რომლებიც საერთოა ქართულსა და სვანურში, მათ შორისაა **მარგამიშვ**, რომელსაც ქართულ ვარიანტად **მარგამუში** უწერია (გაბლიანი 1925: 185). თუ ამ უკანასკნელში კორექტურული შეცდომა არ არის, ჩვენი საანალიზო ტერმინი ქართულადაც წარმოდგენილია -კ- თანხმოვნის გარეშე.

1939-1946 წლებში მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და შემდგომში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელმა, ლენჯერელმა სები გულედანმა, აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურისა დავალებით, ჩაიწერა არაერთი ტექსტი ბალსზემოურ კილოზე. მათი უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია, დანარჩენი კი ინახება ენათმეცნიერების და ისტორია-ეთნოლოგიის ინსტიტუტებისა თუ სხვადასხვა მუზეუმის საცავებში. ჩვენი ყურადღება მიიქცია 1978 წლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში („სვანური ენის ქრესტომათია“) გამოქვეყნებულმა №166-ე ტექსტმა **მრშ-მრშ ავ-ნაჟუნს იმჟი იკმარის შჟანისგა** [„სხვადასხვა წამლეულს როგორ იყენებენ (ი-კმარ-ენ) სვანეთში“, გვ. 142-144]:

ალ ჟაგრარ თჟეთჟნე ლიხ ი ეშ ლეხკენე ლი. შომჟაჟ ლექაჩს ხოლა ძჟერი ხედლლა ი ეჯას სგა ლიკჩე ხაკურ, ერქას აქმარ ალ ხოლამ ძჟერჟინ მარგამიშჟს ხახკენეს. ალა სგა ხესგჟრის ხოლამ ძჟერს ი ოდე სგა დო ხაკჩე, ერქად აშ ხრშჟ სგა ლექაჩს. ალ ძჟერი თამაშდ ლიკჩე სურჟ თემის ი გარჯს ხოკდე ლეგდ მერდა ი ოდე სგა დო ხეკჩენი ხოლა ძჟერ, ერქად ლიკილის ი ჰადლოდეჟს დემ ხაქჟცუნე...

...აქმარ ჟაგრარს მინეშჟჟ ასყენახ: კახჟრას, მაჰლამს, შჟარან ჟაგრარს, თათრი ჟაგრარს ი ამკალიბარს. მარგამიშჟს იმხანქა დო ასყენახ, ამიშ დანს მა ხონალდა. აქმარი ყელახ, ერე „მარგამიშჟს ი ლეხკენა ჟაგრარს სგანქა, თანალს ერხანჩუნხან როქ ლემკიდჟინს“: მარგამიშჟს ხოლამ ძჟერი ლაქჩად იკმარდახ. ალ მარგამიშჟი ნაღანგუნლო მასტუნჟან მარე სურჟს იქარლდა, ეჯღერე მარგამიშჟ თამ-თამაშდ ხაკჩა მარა ხოლამ ძჟერს ი ერი ნაღანგჟ ყელახ, ერე ოდ ესერ ძჟერ სგა დო ხეკჩენი მარა (ხოლა ძჟერ), ერქად ესერ ლექაჩჟინ ლემგჩხრინე ბერეჟ ხედი, ერჟინ ესერ მუსტჟინია ლი მარგამიშჟი ლიდესკი ლექაჩისგა.

ეს წამლები თეთრებია („თეთრი არიან“) და, ჩვეულებრივ, საფხეკია. როდესაც ჭრილობას დაჩირქებული („ცუდი“) რბილი ხორცი

(„მძორი“) მოედება და იმას მოშორება („მოცვეთა“) უნდა, მაშინ აქიმები ამ ცუდ რბილ ხორცს **მარგიმუშკს** {და}აფხეკენ. ეს ჩაუჯდება ცუდ რბილ ხორცს და ვიდრე არ მოჭამს („მოცვეთს“), მანამდე ასე წმენდს („უნთია“) ჭრილობას. ამ ცუდი რბილი ხორცის ნელ-ნელა გასუფთავება („მოცვეთა“) მეტ მოთმენას და გარჯას ითხოვს ავადმყოფისგან („მოუტანს ცუდად მყოფს“) და ვიდრე არ გაიწმინდება („შეაცვდება“) ცუდი რბილი ხორცი, მანამდე კივილს და „ვაი დედა“-ს არ შეაწყვეტიანებს [ავადმყოფს]...

...„აქიმები“ წამლებს თვითონ („თავისით“) აკეთებდნენ: კანვრას, მალამოს, ჭრილობის წამალს და ამისთანებს („ამ ყალიბებს“). **მარგიმუშკს (თუ) რისგან ამზადებდნენ, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.** „აქიმებიც“ ამბობდნენ, რომ {თურმე} მარგიმუშკი („მარგიმუშკს“) და საფხეკი წამლები („წამლებს“) გალმიდან, უღელტეხილის იქითა მხრიდან მოჰქონდათო („მონაქონან“). მარგიმუშკს ცუდი რბილი ხორცის მოსაშორებლად („მოსაცვეთად“) იყენებდნენ. ამ მარგიმუშკის დადების შემდეგ ავადმყოფი („ტკივილიანი კაცი“) ძალიან იტანჯებოდა იმიტომ, რომ მარგიმუშკი ნელ-ნელა ჭამდა („აცვეთდა კაცს“) ცუდ რბილობს და იმით ნამკურნალევი („იმის ნადებნი“) ამბობდნენ: სანამო ცუდი რბილობი არ მოშორდება კაცს, მანამ ჭრილობაზე გახურებული რკინა რომ გედოს, ისეთი მტკივნეული არისო მარგიმუშკის დადება ჭრილობაზე („ჭრილობაში“):

მაშასადამე, თუ ჯერ კიდევ 1887 წლისთვის სვანეთში ყველამ იცოდა მარგიმუშკის თვისება (ბესარიონ ნიჟარაძის ცნობით), ნახევარი საუკუნის შემდეგ უკვე მისი დამზადების წესების შესახებ აღარაფერი იციან, რადგანაც ეს წამალი სხვა ქვეყნიდან შემოჰქონდათ.

რაც შეეხება თანამედროვე ვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ 1990 წელს მედეა ბურდულის საკანდიდატო დისერტაცია მიძღვნილი იყო სვანური სამკურნალო მცენარეების ეთნოგრაფიული კვლევის სადმი, ავტორმა სვანეთის სხვადასხვა კუთხეში მივლინების დროს **მარგი მუშკი** (ასე წერს!) ვერ დაადასტურა და ეჭვი შეიტანა ტერმინის სისწორეში (ბურდული 2010: 21). თავისთავად ცხადია, ეს საქმეს ვერ უშველის!

ბოლოს და ბოლოს „მარგიმუშკი“ მცენარეა, ცხოველი, მინერალი თუ მათგან დამზადებული წამალი? არსენ ონიანის განმარტებით, **ხარძილი ძირს მარგიმუში მექაჟ იჰმარის. თჷეთჷნე მულჷჷაჲ ხარ. ჳანი ძჷალი ჟაგდ იჰმარის** – „ხარისძირა{ს} ფესვს („ძირს“) მარგიმუშკი{ს} ნაცვლად ხმარობენ. თეთრი ყვავილი აქვს. ხარი{ს} ძვლი{ს} წამლად ხმარობენ“ (1917: 40), რომლის ქვეტექსტი შესაძლოა მცენარესაც გულისხმობდეს.

სები გულედანის ცნობით (1939-1946 წ.წ.), „მარგიმუშკი“ თეთრი ფერის საფხეკი წამალია, ხოლო, არსენ ონიანის მიხედვით, „მარგიმუშკის“ ნაცვლად გამოყენებულ „ხარისძირასაც“ თეთრი ყვავილი აქვს (ეტიკობა, „მარგიმუშკი“ სვანეთში არც ისე იოლად იშოვებოდა).

ქართული კარაბადინის აჭარაში აღმოჩენილ ვარიანტებში (XVIII ს.) „მარგიმუშკი“ მცენარეცაა (დარიშხანა, Arsenicum – შხამიანი მცენარე) და მისგან დამზადებული წამალიც (თაგვის შაქარი, мышьяк), რომელსაც იყენებდნენ მუნისა და ათაშანგის სამკურნალოდ (სურმანიძე 1996: 106, 150; Яшвили 1904). „დარიშხანა“ ხევსურეთში დიდ სიკვდილიანობას იწვევდა თურმე (ჭინჭარაული 2005: 285).

ქართულ კარაბადინებში მუშკი ზოგჯერ „ბაბუაწვერას“ სინონიმიცაა (სურმანიძე 1996: 154), სულხან-საბას მიხედვით, ხის მუშკს „ბობოწვერაც“ ჰქვია.

სპარსული musc- ძირი, ქართულ ენაში, ჩვეულებრივ, მუშკ- ფორმით რომ იხმარება, აღნიშნავს ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის სპეციფიკური სუნის მქონე ნივთიერებას, რომელიც ძალზე ხშირად გამოიყენება მედიცინასა და პარფიუმერიაში. ქართულ და რაჭულ დიალექტებში მუშკი დღეს „ფაფუკის, ფუმფულას, რბილი რამის“ აღმნიშვნელია, აჭარულში კი მუშკისაპონი „მეტად სურნელოვან პირსაბან საპონს ჰქვია“.

musc- ძირი შედის, აგრეთვე, ფრანგული musc-at¹ის შემადგენლობაში, რომელიც გამოხატავს როგორც ვაზის ერთ-ერთ ჯიშს, ისე ტროპიკულ ხესაც, ოღონდ ორსავე შემთხვევაში სურნელოვანი ნაყოფის მქონეს.

მაშასადამე, „მარგი მუშკი“ ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნების შემცველი ერთცნებიანი კომპოზიტია ძველი ქართული კარაბადინებისა და ლექსიკონების მიხედვით. ერთი მხრივ, იგი ძლიერი შხამიანი ნივთიერებაა (მცენარისგან წარმოქმნილი) – „მაკუდინებელი საწამლაკი“; მისი მეორე კომპონენტი კი, რომელიც თავად კომპოზიტზე ხშირად იხმარება ადრინდელ ძეგლებში, აფრიკული ცხოველის სათესლე ჯირკვლებიდან მიღებული სურნელოვანი სითხეა. შდრ. საბა – „ხაზარეთის მუშკის ცხოველი თავკს („ძვირფასბეწვიანი მღრღნელი“) ჰგავს, ხოლო აფრიკისა – ცხენსა და მათის ასოთაგან არს მუშკი“. აღნიშნულ განმარტებას ბოლოში ერთვის „მძრომთა“ სიმბოლო.

როგორც ძველ ორიგინალურ, ისე სხვა ენათაგან ნათარგმნ ქართულ კარაბადინებსა თუ სამკურნალო წიგნებში მუშკი (ცხოველური ან მცენარეული წარმომავლობისა) წამალია და არაერთი მაჯუნისა (კონფორტატივის, მალამოს, ფაფის) თუ კომპოზიტის შემადგენლობაში შედის ნაირ-ნაირი ვარიანტებით. ესენია: დავალ მუშკი/დავალმის-

კი/დველმისქი/დაულ მიშკი/დულ მიშკი/დევალ-მუშკი/დაევალ-მუშ-
კი/დოლ-მუშკი, ფალანჯ-მუშკი, ფანგამუშკი, ვანამუშკი, მუშკ-ამბარი,
მუშკისა ყურსი, მუშკის მარწყვი, მუშკი ხალისი, გუარიშნი მუშკისა,...
მუშკი ტარმაშირისა, მუშკატრონი,... მეტად საინტერესოა სულხან-
საბასეული განმარტება **ბედმუშკი**'სა: კატატირიფას (ბრტყელფურც-
ლიანი მდგნალი) **სპარსნი ბედმუშკად სახელ სდებენ** („სიტყვის კონა“
1949: 644).

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია XI საუკუნის ძეგლში
„უსწორო კარაბადინი“ დადასტურებულმა წამალმა **ნარმუშქი** („ნარი
და მუშკი ერთად რეული“ – გვ. 505), რომელიც ზაზა ფანასკერტელ-
ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“ (XV საუკ.) გვხვდება **ნარმუშქი**,
და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, **ნარმუშქი** ვარიანტებით „ველური
ბროწეულის ყვავილის“ აღსანიშნავად (გვ. 869). არაბულ-სპარსულ
ენათაგან თარგმნილ ქართულ ხელნაწერებში **მუშკი** ხშირადაა მოცე-
მული აუსლაუტის თანხმონის ფშვინვიერი სახეობით, მაგრამ **მუშკი**-
რომელიც ძალიან ჰგავს სვანური **მარგიმუშ**'ის მეორე კომპონენტს,
სხვაგან ჯერჯერობით არ შეგვხვდრია. გარდა ამისა, **muš** სპარსუ-
ლად „თაგვი“, ამიტომაცაა იზაფეტური წყვილი **margemuš** „თაგვის
წამალი/საწამლავი“ („სიკვდილი თაგვისა; ზედმიწევნით „სიკვდილი +
იზაფეტური წყობის მახასიათებელი **ე** + თაგვი“)¹. ხომ არ აირია ერთ-
მანეთში არაბულ-სპარსული **mušc** („სურნელოვანი სითხე“) და სპარ-
სული **muš** („თაგვი“) სხვადასხვა ეპოქის ამ ენებიდან ნათარგმნ ქარ-
თულ ტექსტებში?

არის თუ არა სვანური **მარგიმიშუ** (ზს., ლნტ.) < **მარგიმუშ** (ლშხ.)
და **მალგიმუშ** (ჩოლ. „სწრაფმოქმედი საწამლავი“ – ლიპარტელიანი
1994: 211) ქართულ ენაში აღმოსავლური სამყაროდან შემოსული
მარგიმუშკი'ს ბადალი ტერმინი, რომელიც ძველი საქართველოს ნა-
ტურმედიცინაში გამოიყენებოდა?

საანალიზო ლექსემას, ზოგიერთი ქართველოლოგისგან განსხვა-
ვებით (იხ. სალლიანი 2012: 34-35), ჩვენ მარტივ ფუძედ კი არ განვი-
ხილავთ, არამედ, როგორც ზევითაც იყო ნაჩვენები – კომპოზიტად.
მარგიმუშ სახელობითი ბრუნვის ფორმაა და არა -**მ** ელემენტის შემ-
ცველი ორფუძიანი ბრუნვის წარმომადგენელი ნაერგატივალ ნა-
თესაობითი, როგორც ეს მ. სალლიანს ჰგონია (აქვე შევნიშნავთ, რომ
ამგვარ წარმოებაში, ჩვეულებრივ, გვაქვს ხოლმე {**ე**}**მ-იშ** და არა -**მუშ**;
მიუხედავად იმისა, რომ ფონეტიკურად შესაძლებელი პოზიციაა –

1 ულრმეს მაღლობას მოვახსენებთ ირანისტ პროფესორს ნომადი ბართაიას სპარ-
სული მასალის განმარტებისათვის (იხ., აგრეთვე, Рубинчик Ю. А., Османов М.
Н., Персидско-русский словарь, Тегеран, 2013: 496).

ლაბიალური თანხმოვნის მომდევნო, მაინც სვანური ენის ვერც ერთ დიალექტში, კილოკავსა თუ თქმაში ორფუძიანი ბრუნების სისტემაში -**მუშ** მორფემის არსებობის ვერც ერთ მაგალითს ვერ დაადასტურებთ – **ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ!**²).

მ. სალლიანი ამოსავალში ხან **მარგ-ი**'ს ვარაუდობს (რომელშიც -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჰგონია), ხანაც **მარგი-მ**'ს (სადაც -მ ორ-ფუძიანობის წარმომქმნელ ელემენტად მიაჩნია) და ორივე თუშური დიალექტიდან ნასესხებად ეჩვენება (შდრ. **მარგი-** „ცხვრის სნეულე-ბა“ და **მარგული-** „წყლული უმრთელებელი“, საბა). კი, მაგრამ თუ-შური ლექსემის აუსლაუტში მანი რომ არ გვაქვს?! იგივე სიტუაციაა ძველ ქართულშიც! დიდი ხანია სპეციალურ ლიტერატურაში შენიშ-ნულია სვანური ფონოტაქტიკის ერთი ფრიად სპეციფიკური ტენდენ-ცია – დახურულმარცვლიანი სტრუქტურების ლიამარცვლიანებად გარდაქმნისა – და არა პირიქით! ასე რომ, -**მ** ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილად ვერ ჩაითვლება, როგორც ამას მ. სალლიანი ფიქრობს. **მარგიმდ | მარგიმიშდ** ურთიერთმონაცვლე დესტინატიური ფორმების ასახსნელად კი, ჯერ ერთი, უნდა გამოყენებული ყოფილიყო ჩვენი მონოგრაფია „ქართველოლოგიური ძიებანი“ (1998: 85, 93-95, 120-121,

2 დაფუძვით, დაფუჯვრეთ მ. სალლიანს და **მარგიმიშდ** ჩავთვალეთ მოთხრობი-თი ბრუნვის ფუძეზე დამყარებულ ნანათესაობითარ ვითარებითად, მაშინ არ-სენ ონიანის „ხორავ“-ში წარმოდგენილი ფრაზა – **ამშა ძირს მარგიმუში მგქაფ იკმარის** (გვ. 40) – „ამის ძირს მარგიმუშკი(ს) ნაცვლად ხმარობენ“ – როგორ გავიგოთ? რა გამოვა **მარგიმუში**? – ნაერგატივალი ნათესაობითი ბრუნვის ნა-თესაობითის ფორმა?! – **ეს ხომ აბსურდია**?! ან თავად მ. სალლიანისავე დამოწ-მებული ლაშხური **მარგიმუშ** (ალეს **მარგიმუშ** **ლოქ ხამნე** – ამას შხამს ვაჭმე-ვო, ზედმიწ. „ამას სნეულეზასო აჭმევს“) მოთხრობითის ფუძეზე დამყარებული ნანათესაობითარი მიცემითია?! გარდა ამისა, ირკვევა, რომ **მარგიმუშ** (ლშხ.) / **მარგიმიშუ** (ზსვ., ლნტ.) „სნეულეზა“ კი არ არის („სნეულეზის ჭამა“ არ შეიძლე-ბა!), არამედ „სწრაფმოქმედი საწამლავია“ (ლიპარტელიანი 1994:211), რომლის ფზენილსაც ამზადებდნენ **არსენიდი**'სგან (< ლათ. arsenicum) – შხამის შემცველი მცენარისაგან.

კოლეგიალურად ვურჩევთ მ. სალლიანს, მეტი ყურადღებით წაიკითხოს: ნ. მარის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურას, ს. ჯანაშიას, კ. დონდუას, გ. კლიმოვის, თ. შარა-ძენიძის, მ. ქალდანის, ალ. ონიანის, ზ. ჭუმბურიძისა და ი. ჩანტლაძის სვანური ბრუნებისადმი (ორფუძიანობის სისტემა და ე. წ. ორმაგი ფორმები, -ი აუსლა-უტიანი სახელები, ნანათესაობითარი ვითარებითის მარტივი ვითარებითით შეცვლის ტენდენციები არამხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში და ა. შ.) მიძღვ-ნილი შრომები.

ეტიმოლოგია ენათა ლექსიკის მხოლოდ ფორმალურ მსგავსებას როდი გულისხ-მობს! ამა თუ იმ სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობაზე მსჯელობისას გადამწყ-ვეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიურ (უპირველეს ყოვლისა!), მერე კი გრამატიკულსა თუ ლექსიკოლოგიურ მხარეებს. „ენობრივ ოჯახში თუ ჯგუფში იმდენი ენაა, ბგერათშესატყვისობათა რამდენი პარადიგმაც არის პოვნიერი“ (ქურდიანი 2007: 150).

150-151)³ და, მეორეც, საანალიზო სტატიის ავტორს მივაწვდით ერთ ლექსემას, რომელიც მთელ სვანურშია გავრცელებული, მათ შორის მის მშობლიურ ბალსქვემოურ დიალექტში და ამიტომ გასაოცარია, რომ არ გაახსენდა! – ეს გახლავთ ზსვ. **მელ/რგიმ**, ქსვ. **მალგიმ**, „დიდ უძრავ მყარ ქვას“ რომ აღნიშნავს და სვანურ წყევლებში ხშირადაა გამოყენებული. ასე რომ, **მარგიმდ | მარგიმიშდ ლისპე** „შხამად შერგება“ (საღლიანი 2012: 34) კი არ იყო თავდაპირველად, არამედ „ქვად | ქვისად ტრიალი“. მას „მარგიმუშკ“-თან არაფერი უნდა აკავშირებდეს, ხოლო, თუ კვლევას გავაგრძელებთ ამ მიმართულებით და აღმოჩნდება, რომ **მელ/რგიმ/მალგიმ** სამკურნალო თვისებისაც იყო, მაშინ მსჯელობა სრულიად განსხვავებული გვექნება; ამჯერად კი, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია **მე-ლ-გ-იმ** (ბალს ზემოთ გვსმენია **მე-რ-გ-იმ** ფორმაც, უფრო სვანურ სიმღერებში: **მერგიმ ბაჩილდს** ქიმს ხაგენი – ლოდს ცრემლს ადენს, „სვ. პოეზ“, 1939: 180, ხალდე; შდრ. ჩორლჿიშ ლილკჿფედლე **მელგიმ ბაჩას** ქიმს ლახგენა – ჩორლას მოთქმა მყარ ქვასაც ცრემლს დაადენდა, იქვე: 290, მულახი; მინე მაჟრშუ **მელგიმ ბაჩარს** ჟი აგჿუნეს – თავიანთი ბრალით ლოდ ქვებსაც კი ატირებენ, იქვე: 170, მულახი) წარმოვიდგინოთ არა კომპოზიტად, არამედ ლი-ლ-გ-ემ-{სლ}-ე (ბზ., ლნტ.), ლი-ლ-გ-იმ-{სლ}-ე (ბქ., ქსვ.) („აშენება, აგება, სახლ-კარის გამართვა“) ზმნისგან მომდინარე მიმღეობის ფორმად; შდრ. აგრეთვე, **ლგ-რ-გ-იმ** ბზ., ლშხ., **ლგ-ლ-გ-იმ** ლშხ., **ლგ-{ლ}-გ-ინ** ბქ. („არაადვილად სამოძრაო სკამი, სკამლოგინი“), რომლისთვისაც ამოსავალი უნდა იყოს „დგომის“ სემანტიკა; ძვ. ქ. **მ-დგ-ამ-ი/მ-დგ-ომ-ი** („მტკიცე, მკვრივი“), **მ-დგ-ურ-ი** „გაჩერებული“, იმერ. **მ-დექ-ი** („ჭკუადაძმადარი“), ზსვ., ლშხ. **ლგ-გ-ნ-ე** < ლნტ. **ლგ-გ-ენ-ე** („დაყენებული, დამდგარი, გაჩერებული“), ზსვ. **ლგ-ლ-გ-მ-ე** („ბრძენი“), ქსვ. **ლგ-ლ-გ-მ-ა** („შენობა, ნადგამობა“)... მაშასადამე, **მელგიმ/მერგიმ** > **მალგიმ/მარგიმ**, ძირითადად, უძრავად „მდგომი“ საგანია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ქვა. **ლ/რ** სონორთა მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში, ხოლო **ე** > **ჰ** სვანურში ცნობილი პროცესია.

ერთი შეხედვით **მელგიმ** ძალიან ჰგავს „მოცვის“ ერთ-ერთი სახეობის სვანურ სახელწოდებას **მე-გმ-ელ-დ**, **მე-{ლ}-გმ-ელ**, რომელსაც აჭარულად „მიწამოცვა“ ჰქვია. არსებობს, აგრეთვე: **გოწხირ გიმაშ** („კოწახური მიწის“), მიწავაშლა, მიწამაყვალა, მიწაფხალა,... **გიმიშ ლჷესე**

3 აღნიშნულ ვითარებას საგანგებოდ არ გავხაზავდით, რომ ადრინდელ მკვლევართა ნაშრომების მიუთითებლობის ფაქტები არ განმეორებულიყო (ამ თვალსაზრისით იხ.: მ. საღლიანის „პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში“, თბილისი, 2011 და ნ. შავრეშიანის სადისერტაციო მაცნე „ეკომიგრანტ სვანთა მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი“, თბილისი, 2013).

(„აბრეშუმა“ < „მიწის ქონი“). როგორც ქართულში, ისე სვანურში, ამ შემთხვევაში ამოსავალია „მიწის“ სემანტიკა. მაშასადამე, მე-**{ლ}**-გმ-გლ <*მე-გმ-გლ „მომიწო“, ე. ი. მოშავო?). მოსალოდნელია, მეგმგლ „ხებუჩქი, პატარა ხე“ (<*მეგვე/ამ-გლდ) იყო თავდაპირველად!

მთლად ბოლომდე არც ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ მარგი-მუშკი და მარგიმუშ (ლშხ.) > მარგიმიშუ (ზსვ., ლნტ.) < მარგიმუშ < მარგიმუშ+ი (სახელობითი ბრუნვის მორფემა) ერთი და იგივეა, მაგრამ უფლება არ გვაქვს, არ ვენდოთ სვანეთის კულტურისა და სვანური ენის ისეთ უნივერსალურ მცოდნეებს, როგორებიც იყვნენ: ბესარიონ ნიჟარაძე, ივანე ნიჟარაძე და ეგნატე გაბლიანი.

ერთი სიტყვით, ძალზე რთული გასარკვევია დღეისათვის ეტიმოლოგია სვანური მარგიმუშ (ლშხ.) > მარგიმიშუ (ზსვ., ლნტ.) ლექსემისა, მაგრამ ის, რომ საანალიზო მონაცემი კომპოზიტია და ორფუძიანი ბრუნვის სისტემასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ეს სრულიად ნათელია.

მარგიმუშკი ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებული არ არის, მის ნაცვლად ყველგან დარიშხანა ან ზირნიხი იხმარება. ჩვენთვის ცნობილ კარაბადინთაგან „მარგიმუშკი“ პირველად გვხვდება აჭარაში აღმოჩენილ XVIII საუკუნის ხელნაწერში, რომელიც მეცნიერულად გამოიკვლია და გამოსცა რამაზ სურმანიძემ. დავით ჩუბინაშვილს (XIX ს. II ნახევარი) მარგიმუშკი დამოწმებული აქვს პატრი ფილიპეს „მცენარეთა და პირუტყვთა ლექსიკონის“ (54; 226) მიხედვით, რომელსაც საქართველოში ვერსად მივაკვლიეთ (ეტიკობა, პეტერბურგშია დაცული შესაბამისი ხელნაწერი).

სრულიად ბუნებრივია, ვიფიქროთ, თუ არაბულ-სპარსულ-თურქული წარმომავლობის მუშკი (ბერძნული Moschus) აღმოჩნდა საკმაოდ გავრცელებული ძველ ქართულ ნატურმედიცინაში, რატომ არ მოხდა ეს მარგის შემთხვევაში?

მძიმე ჭრილობების მოსაშუშებელ მაღამოში შხამთან ერთად სხვა ნივთიერებებსაც ურევდნენ არა მხოლოდ სვანები. საგულისხმოა, რომ ქართულ კარაბადინებში ფართოდაა გაშუქებული შხამებისადმი მიძღვნილი სპეციალური თავები არა ადამიანის მოსაწამლავად, არამედ წამლობისთვის („ვუწამლე, ვუმკურნალე“). ეს ცოდნა კოლხური სამყაროდან მომდინარეობს და უპირველესად გულისხმობს მცენარეში სამკურნალო თვისებების აღმოჩენას, ხოლო შემდგომ აქტიური საწყისის (გამოხარშვა, ნაყენი; თერმული, მექანიკური თუ ქიმიური ზემოქმედება) კონცენტრირებით შხამის გამოყოფას, მის განზავებას და შესაბამისი დოზების შემუშავებას (ხელაია 2014: 390). აქვე გვახსენდება ერთი სვანური ანდაზა: **მელარს მუჰტედურან ესერი ხეჩდახ** ი

მეშვირანი – „ბალახებს წამალიც ურევია და საწამლავეცო“ (დავითიანი 1973: 89). ცნობილია **წამ-ალ** და **საწამლავე-ო** ***სა-წამ-ალ-ავ** ფუძეთა ურთიერთკავშირი არაერთ ენაში, მათ შორის სვანურშიც (ჟაგ ხომ ორივე სემანტიკის შემცველია!).

ვფიქრობთ, რომ სვანური **მარგიმუჟ** უშუალო გაგრძელებაა სპარსული კომპოზიციისა **مرگ موش marg-e-muš** („კვდომა თავვისა“). საიდან გაჩნდა ქართული ლექსემის აუსლაუტში მკვეთრი თანხმოვანი?

სპარსულ ენაში **-აქ(-ak)** სუფიქსი კნინობითობის სემანტიკას გადმოსცემს; ასე რომ, **موش (muš-ak)** „თავუნაა“, ვფიქრობთ, ამოსავალი რუსული **мышьяк** („დარიშხანი, თავუნას წამალი“)’ისთვის, რომელიც სულ ახლახან უნდა იყოს შესული სვანურში, სოფელ ცანაში 1938 წელს დაარსებული „დარიშხანის ქიმიური კომბინატის“ სახელწოდებად.

მაშასადამე, დღეს სვანურში ერთცნებიანი კომპოზიტი **მარგიმუჟ** (ლშხ.) > **მარგიმიჟუ** (ზს., ლნტ.) ჭრილობის განმკურნებელი შხამია, რომელიც, ალბათ, მზადდებოდა როგორც შხამიანი მცენარისაგან („არსენიდი“), ისე მინერალისაგან („დარიშხანი“), ხოლო დერივაციული ფუძე **მეშ-ი-აკ-** „დარიშხანის წარმოების“ აღმნიშვნელია.

ამრიგად, როგორც ქართულში, ისე სვანურში **მარგიმუჟი** ან **მარგიმუჟ** > **მარგიმიჟუ** ნასესხებია არაბულ-სპარსულ-თურქული სამყაროდან, ხოლო **მეშიაკ** – რუსული ენიდან (სვანურში შედარებით გვიან). „მაკვდინებელი საწამლავის“ აღსანიშნავად ქართულ ენაში რატომღაც რთულ სიტყვაში შემავალი კნინობითის ფორმა დამკვიდრდა, სვანურში კი დაცულია ამოსავალი ვითარება (**muš** – „თავვი“). რაც შეეხება კნინობითის წარმოებას (**موش muš-ak** > **მეშ-აქ** > **მეშ-ი-აკ**), იგი მხოლოდ ნიუანსური სემანტიკით განსხვავდება „შხამის“ (საწამლავის < წამლის) მნიშვნელობისაგან; მაშასადამე, სვანურ ენაში გარკვეული დიფერენცირება მოხდა, ხოლო, რაც შეეხება ქართულს, კნინობით სუფიქსს აქაც შესაბამისი როლი ენიჭება: **დარიშხან-ა** „შხამიანი მცენარეა“, **დარიშხან-ი** კი „ამ მცენარისგან დამზადებული შხამი ან სხვადასხვა მინერალში შემავალი ქიმიური ელემენტი თუ პრეპარატი“; თუმცა ამგვარი სემანტიკური დიფერენცირება ბოლომდე გატარებული არ არის!

ჯერჯერობით ლინგვისტური კვლევის შედეგები ასეთია, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულად დაეხმარება როგორც ექიმებს, ეთნოლოგებს, ფარმაცოლოგებს, მინერალოგებს, ისე ბოტანიკოსებსა თუ ზოოლოგებს. ვნახოთ, რას იტყვიან ისინი!

დამოწმებანი

- ბურდული მ.**, ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში, ახალციხე, 2010;
- გაბლიანი ე.**, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925;
- დავითიანი ალ.**, სვანური ანდაზები, თბილისი, 1973;
- თოფურია ვ., ქალდანი მ.**, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000;
- ლიპარტელიანი ა.**, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1994;
- ნიჟარაძე ბ.**, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბილისი, 1964;
- ნიჟარაძე ბ.**, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007;
- ორბელიანი ს.-ს.**, „სიტყვის კონა“, თბილისი, 1949;
- საღლიანი მ.**, პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში, თბილისი, 2011;
- საღლიანი მ.**, სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგი არქაული სიტყვის წარმომავლობის შესახებ, „ეტიმოლოგიური ძიებანი“, IX, თბილისი, 2012;
- სვანური ენის ქრესტომათია**, ტექსტები შეკრიბეს: აკაკი შანიძემ, მაქსიმე ქალდანმა და ზურაბ ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978;
- სვანური პოეზია**, ტექსტები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს: ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი, 1939;
- სურმანიძე რ.**, ქართული კარაბადინი (XVIII საუკუნე), ბათუმი, 1996;
- ფანასკერტელი-ციციშვილი ზ.**, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, თბილისი, 1978;
- ქურდიანი მ.**, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი, 2007;
- შავრეშიანი ნ.**, ემიგრანტ სვანთა მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი (სადისერტაციო მაცნე), თბილისი, 2013;
- ჩუბინაშვილი დ.**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984;
- ჭინჭარაული ალ.**, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005;
- ხელაია ნ.**, ქართულ ფიტონიმთა მოტივაციის ასპექტები დაავადებათა დასახელებებთან მიმართებაში, „გამონათლევნი“, I, ბათუმი, 2014;
- Онианъ А.**, Сборникъ сванскихъ названій деревьевъ и растений (на лāшскомъ нарѣчїи), Петроградъ, 1917;
- Рубинчик Ю. А., Османов М. Н.**, Персидско-русский словарь, Тегеран, 2013;
- Сборник материалов** для описания местностей и племён Кавказа, т. X, Тифлисъ, 1890;
- Яшвили А.**, Народная медицина в Закавказском крае, Тифлисъ, 1904.

OPINIONS

Eter Intskirveli

The Narrative Development of a Biblical Image in Folklore

In his epistle to the Colossians 2:14, St. Paul describes Adam's fall by means of "the handwriting of ordinances that was against us", which was nailed to the cross by Jesus Christ. The handwriting, the physical existence of which has not even been discussed in religious literature, has been transformed into folklore in a concrete form and developed as a narrative: Adam makes a written deal with the devil, and later Jesus Christ tears it to pieces. This theme can be found not only in oral folklore but also in iconography: on the frescoes of the resurrection, Jesus Christ is sometimes represented holding a torn scroll. The given paper analyses the above-mentioned theme in the context of narrative development of Biblical literary image in folklore.

Irakli Tezelashvili

On the Portraits of Catholicos-Patriarchs of Upper Iberia (Eastern Georgia) Anton I and Anton II

Catholicos-Patriarchs of All Eastern Georgia Anton I (Bagrationi) (1720-1788) and St Anton II (c. 1764-1827) were important personas in the 18th century Georgian Orthodox Church. Their thirteen portraits, painted at different times, have been preserved to date – four of Anton I and 9 of Anton II. In fact, their portraits can be claimed to be the first original and natural images of the Georgian Orthodox clergymen, with but a few earlier exceptions. Unfortunately, because they were namesakes both as laymen and as clerics, and succeeded each other as the Patriarchs of Mtskheta, their portraits were mixed already in the 19th century and appeared mistakenly in the 19th and 20th century publications. This article attempts to distinguish their portraits from each other as well as from the portraits of other clerics (e.g. of St Tikhon of Zadonsk). The paper presents the entire corpus of both Patriarchs' portraits (13 in all), the earliest dating back to the end of the 18th century (78 R) and

the latest to the end of the 20th century (Ghia Bughadze). Most of them are preserved in the Georgian National Museum and in Russian museums.

Iza Chantladze

**Margimuški and Margimuš+i > Margimišæ or Margi?
(For the Attention of Those Chasing Semantic Mirages)**

In Georgian, as well as in the Svan language, *margimuški* or *margimuš* > *margimišæ* was borrowed from the Arabic-Persian-Turkish world, while *méšiak* is a loanword from Russian, which entered the Svan language in a later period.

The established Georgian word denoting “deadly poison” is a compound containing a diminutive, while the Svan language preserves the root (*muš* – *tag-vi*). As concerns the diminutive form (*muš-ak* > მუშ-აკ > *mésh-i-ak*), it only differs from *šxami* (poison) by a slight semantic implication. Thus, certain semantic differentiation can be observed in Svan. As concerns Georgian, the diminutive suffix serves the same purpose: *darišxan-a* is a poisonous plant, while *darišxan-i* is a poison manufactured from the plant or a preparation or chemical found in various minerals.